| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


«ივერიის» რედაქციაში ხელის-მოწერისა და განცხადების მიღება შეიძლება მხოლოდ დილის ათ საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე და საღამოს შვიდიდამ რვა საათამდე. მხოლოდ ამავ დასახელებულ საათების განმავალობაში შეიძლება პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან.

ტფილისი, 22 აგვისტო

გერმანიას ეხლა-ხან საბუთი მიეცა კიდევ უფრო გამოიწიოს რუსეთისაკენ ბოლგარიის საქმის გამო. ეს საბუთი ის არის, რომ საფრანგეთში სისრულეში უნდა მოიყვანონ პროექტი ჯარის საცდელ მობილიზაციისა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში და, უეჭველია, კიდევ უფრო ძლიერს ზედ-მოქმედებას იქონიებს გერმანიაში, საცა ყოველს ნაბიჯს, მოქმედებას საფრანგეთისას დიდის ეჭვით უყურებენ. მართალია, საფრანგეთის მთავრობამ ყოველივე ღონის-ძიება იხმარა, რომ რაც შეიძლება ნაკლები უსიამოვნება მიაყენოს გერმანიას, მაგრამ ამ გვარი ცდა ბისმარკის იჭვიანობას ბოლოს ვერ მოუღებს. ბისმარკის ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ რომ ჯარის მობილიზაციამ რიგიანად ჩაიარა, თუ დამტკიცდა, რომ საფრანგეთის ჯარი ყოველს წამს საომარ ფეხზედა სდგას. ეს გარემოება ეხლა ხან უფრო საგრძნობელი იქნება გერმანიისათვის და კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ მორიგება გერმანიასა და საფრანგეთს შუა უქმი სიტყვაა.

რასაკვირველია, საფრანგეთის მოქმედების შემხედვარე გერმანია რუსეთისაკენ უნდა მიიზიდებოდეს იმ განზრახვით, რომ დაარღვიოს მოსალოდნელი კავშირი რუსეთსა და საფრანგეთს შუა. შესრულდება თუ არა ამ გვარი განზრახვა გერმანიისა, ეს ძნელი გამოსაცნობია და თუ ვინიცობაა ბისმარკმა მოახერხა და რუსეთი და საფრანგეთი ერთი-ერთმანერთს დააშორა, მაშინ-კი საფრანგეთს ფრთა შეეკვეცება. გერმანიას შეუძლიან მხოლოდ იმ პირობით მიემხროს რუსეთს, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა შეუკავშირდეს საფრანგეთს და არავითარი შემწეობა არ უნდა აღმოუჩინოს, თუ ვინიცობაა საფრანგეთი თავს დაესხა გერმანიას. სამაგიეროდ გერმანია ჰპირდება რუსეთს ყოველ გვარს დახმარებას ბოლგარიის საქმეში. აქაც გერმანია მოწადინებულია, რაც შეიძლება ძვირად დაუსვას თავისი მეგობრობა რუსეთს...

იწერებიან ვითომ ოსმალეთმა უარ-ჰყო რუსეთის წინადადება იმის შესახებ, რომ შეერთებულის ძალღონით დაიკავონ ბოლგარია. ოსმალეთმა უპასუხა რუსეთსო, რომ ბოლგარიის საქმე უფრო სხვა სახელმწიფოებს შეეხება, ვიდრე მეო. ამბობენ ვითომ ამ გარემოების მიზეზი ავსტრიაა, რომელმაც ურჩია ოსმალეთს, რომ ფრთხილად და წინ-დახედულად იმოქმედოს. ეს ცნობა, როგორც გაზეთი „Петербургскія Вѣдомости“ იუწყება, სანდოა, მაგრამ უკანასკნელმა დეპეშამ სრულიად სხვა ცნობა მოგვიტანა. დეპეშა იუწყება, ვითომ ბოლგარიის მმართველთ ოფიციალურად აცნობეს, რომ რუსეთის წინადადება შეუწყნარებია ოსმალეთს. ამ გარემოებას დიდი ზედ-მოქმედება ჰქონია მმართველებზე, რომელთაც უთათბირნიათ კობურგის თავს-მჯდომარეობით...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მილის წყალზე თანდათან უფრო იმატა რიცხვმა გაფუჭებულ მილებისამ: ხან სად ამოჰხეთქავს წყალი და ხან სადა. საცა წყლის გამოსაშვები ბოძებია, იქ ხომ თითქმის ყველგან გადმოჰხეთქს წყალი. გუშინ უნდოდათ ერაზე ქუჩების მორწყვა. მოვიდა მუშა ხალხი, მომართა სარწყავი იარაღები, მაგრამ ბოძმა ვერ იმუშავა, რადგან წყალი აქა-იქ ამოდიოდა. ამიტომ თავი მიანებეს მორწყვასა. უთუოდ ცამ შეიბრალა ჩვენი ყოფა-ცხოვრება მტვრიან ქუჩებზე და გამოგვიგზავნა ცოტაოდენი წვიმა, რომელმაც მოგვირწყო და დაგვისველა ქუჩები.

*** ძველ ბებუთოვის ქუჩაში მცხოვრებნი შემოგვჩივიან, რომ იქ გაძლიერებულია ყვავილი ყმაწვილებში. მშობელნი და ნათესავნი არ უგდებენ ყურსა და ეს ავადმყოფი ბავშვები გამოდიან გარედ და სხდან სახლების კარებზე. ვისაც სალი შვილები ჰყავთ, შიშითა კანკალებენ, რომ არ გადაედოთ ეს მძიმე ავადმყოფობა. მეტადრე ბაზაზხანის ვიწრო ქუჩებშია ძალიან საშიშო, რომ ასეთის გაუფრთხილებლობით არ გავრცელდეს სენიო.

*** ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ ამბავი ქართულის თეატრის განათებაზე ელექტრონის სინათლით. ჩვენ დღეს შევიტყეთ, რომ ამ საქმის იჯარადარმა, ბ-ნმა ბლანშომ, დაიბარა მცოდნე მეხანიკოსი, რომელიც უკვე გამომგზავრებულა შვეიცარიიდამ ჩვენკენა ხსენებულის საქმის დაწყებისათვის.

*** დღეს ქუთაისიდამ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი, სახელად—„ცეცხლი თუ გაძლიერდა, ველარ გააქრობ“, მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, ნათარგმნი ბ-ნი სტ. ხოჯივანიშვილის მიერ. წიგნის ფასი ორი შაურია.

*** მოვიდა დრო, როდესაც შვილები უნდა ჩავაბაროთ სასწავლებლებში. გაივსო ტფილისი ბავშვების მშობლებითა და ნათესავებით, რომელნიც ჩამოსულან და ხან რომელს სასწავლებელს მიაწყდებიან და ხან რომელს. თხოვნა, ხვეწნა, მუდარება. მსურველნი მრავალნი არიან და ვაკანსიები-კი ძალიან ცოტაა. არ იციან მშობლებმა, რა უყონ თავიანთ შვილებსა. კერძო სასწავლებლები რომ მაინც უხვად იყოს, სადაც სწავლა რიგიანი იქნებოდა, ძალიან ხელს მისცემდა განათლების მოსურნე ხალხსა.

*** ამ რამდენისამე დღის წინად კუკიაში გამართული იყო ქართული წარმოდგენა თითქმის განსაკუთრებით ხელოსანთათვის. წარმოდგენის გამართვის მოთავედ იყო ხელოსანი აბრამა ციმინაური თვით. მონაწილენი და მოთამაშენიც ხელოსნები იყვნენ; წარმოდგენას 80-მდე ხელოსანი და მათი ხიზანი დასწრებია. წარმოუდგენიათ ცაგარლის პიესა „ხანუმა“. ამ კარგის საქმის მოთავენი სჩივიან, რომ ხელ-მძღვანელი არა გვყავს და ძალიან გვიჭირდება საქმის საქმეზე მოყვანა. მარტო პოლიციისაგან ნება-რთვის აღება გვიჭირვებს საქმესაო.

*** 20 აგვისტოს გათავდა თავად ბარათაშვილის და ასისთავის ჩერნიავსკის საქმე სამხედრო ოლქის სასამართლოში. შუაღამისას მოსამართლეთ გამოიტანეს თავიანთი განაჩენი, რომლის ძალით დამნაშავეთ ჰბრალდებათ მხოლოდ უსაქმურობა ზოგში და ზოგშიაც თავიანთის უფლების გადაჭარბება, რის გამოც თავადს ბარათაშვილს გადუწყვიტეს ჰაუპტვახტში დაპატიმრება სამის თთვით. ამ სასჯელით სრულიადაც არა მცირდება არც უფლებანი თავ. ბარათაშვილისა

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

კოლუმბის კვერცხი.—უებარი წამალი.—სჯობს ოქროების მოხვეჭა.—ახალი ჭირი.—„ხერხი სჯობია ღონესა“.—წადი და სდიე.—ჯიმითის მექოთნეები.—რა ამბავია ცხინვალის თავს!—ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ?—გახშმიანი თუ უგახშმო თეატრი?

იმ დღეს ექიმების გაყვინიზებაზე ვლაპარაკობდით და, იმათ მოსარჯულებლად, ვინატრეთ, რომ ერთი ეს ჩვენი ქალაქები ისეთ გარემოებაში ჩაცვივნილიყვნენ, ისეთი სალი ჰავა და განწყობილობა ჰქონოდათ, რომ ავადმყოფობა ასს ვერსტზედაც ველარ მოგვკარებოდა. ამისთანა ნატვრის აღსრულება უღონო და უძლურ ხალხისათვის, რასაკვირველია, მოუხერხებელია. სამაგიეროდ, ერთ ნაირი ნატვრა, რომელიც ზემოხსენებულზედ უფრო მაღალ-მნიშვნელოვანია, მეტად ადვილად აღსასრულებელი ყოფილა, ხოლო ისეთი რამ-კი ყოფილა, რომ კაცს თავში ძნელად თუ მოუვა. მაინც თითქმის ყველაფერში ასეა ხოლმე: ადვილს რასმე უფრო ძნელად მიჰხვდება კაცი, ვიდრე ძნელსა. მოგეხსენებათ, კოლუმბზე ლაპარაკობენ ერთს ამბავს, ვითომც სანაძლევო იყო დადებული—აბა ვინ მოახერხებს, რომ კვერცხი ფეხზე დასვასო. მონაძლევეთ ბევრი ატრიალეს, ბევრს ეწვალნენ, მაგრამ, დასდებდნენ თუ არა კვერცხს მწვეტისა თუ განიერის ბოლოთი, ის მაინც გადაგორდებოდა და დაწვებოდა ხოლმე გვერდზე. მიდგა ჯერი კოლუმბზე. იმან აიღო კვერცხი, გაუჭეჭყა ბოლო და... სკუპ კვერცხი... ისე მაგრად წამოჯდა, თითქო ასე ყოფილა მიწიდამ ამოსულიო. მოიგო კაცმა სანაძლეო. კოლუმბის შემდეგ ვისაც უნდა ეხლა, კვერცხს დასვამს, რამდენჯერაც მოიწადინებს.

ასეა ბევრშიაც. აი, ჩვენი სანატრელიც უფრო ადვილადაც და სასარგებლოდაც ასრულდებოდა, თუ კი ჭკვაში მოგვივიდოდა. როცა სხვებზე ვნახეთ, როცა თავისებური კოლუმბები გამოგვიჩნდნენ, მაშინ ჩვენც მივხვდით, მაგრამ გვიან-ღა იყო.

**

მინდვრის ოსებს ეხლა ისეთი ბედი სწვევიათ, რომ იმათ თავის დღეშიაც აღარ გაუჭირდებათ აქიმის ცოდნა და ხელოვნება. იმათ ისეთი მოლა გამოსჩენიათ, რომ ვერც ერთი სნეულობა ვერ უდგნობს იმის თილისმურ ძლიერებას. თავი აგტკივდა, ციებ-ცხელება დაგჩემდა, ფერდის ქარი აგივარდა, სიჰლექმ დაგრია ხელი, უშვილობა დაგყვა, თუ შვილი არა გრჩება, ერთის სიტყვით, რაც კი რამ ზნეს გადაეკიდე, ფიქრი ნულარა გაქვს—მინდვრის ოსებს ისეთი მოლა ჰყავთ, რომ მაშინვე გაგკურნავთ და გაგასაღებთ, ოღონდ ნუ იწუწურაქებთ და გასამრჯელო გამოიღეთ. მოლა მაშინათვე შეგაბამთ ფეხზე ჯადოსნურ ბარათს, და მითამ რწყილიც არ აგფრენიათ. თურმე უებარი წამალია ეს ბარათი.

ეხლა იმ მოლას კარგა ფულიც უშოვნია თავის ხელობით და ახლა ქალაქ-ქალაქ დაიარება და ყველგანა ჰპოულობს თავის პატივის-მცემელთ, ქართველებში გნებავთ, სომხებში თუ თათრებში.

მხნე ყველგან ჰპატივს იშოვის,
სადაცა იყოს რგებული.

ღმერთი მოწყალეა, ჩვენც გვეშველება რამ. არ შეიძლება, რომ კავკავიდამ ახლა ჩვენ არ გვესტუმროს და არ ამოგვიყვანოს ამ ექიმების მუნათიდამ. თითონაც ფულს იშოვის და ჩვენც დაგვიხსნის სიცოდავობიდამ. ჩემმა ღმერთმა, ხარჯი რამ მოუვა თუ! ქალალდი იეფია და მელანზე ხომ რაღა უნდა დაეხარჯოს...

აბა, არ გვერჩივნა, სხვა ყველა სანატრელს, გვენატრა ერთი ასეთი მოლა? მერე რა ადვილადაც აგვისრულდებოდა ნატვრა! მაგრამ აკი მოგახსენებთ, ფიქრადაც არ მოგვივიდა.

**

დაილოცა ღვთის სამართალი!.. რამდენ ნაირ ხელობას არ გამოჰნახავს მარჯვე კაცი, რომ თავი გაიტანოს ცხოვრებაში და კარგადაც გაიტანოს. ეს მოლა ხომ არა თუ მშიერი აღარ მოკვდება, დიდს ფულსაც იშოვნის და ძალიან შეძლებული კაციც დადგება. აბა ახლა ჩაიხედეთ სოფ. წევაში. გეცოდინებათ, რომ ეს სოფელი შორაპნის მაზრაში გახლავთ. იქ ზოგი ისეთის ნიჭის პატრონები აღმოჩენილან და ისე ზედ-მიწევნით შეუგნიათ ცხოვრების გულ-ღვიძლი, რომ გინდა დედიშობილანიც გამოიყვანოთ და შეუშვათ ხალხში, მაინც გაიტანენ თავსა და მერე იქნება სათავეშიაც წამოსხდნენ.

ამ ნიჭიერ ადამიანებს უშოვნიათ თითო-ოროლა გროში და უძლევიათ სესხად იქაურ გლეხებზე. ხომ იცით, რომ გლეხს მუდამ უჭირს და, ოღონდ ფული დაანახვე, აიღებს სარგებლით. მხოლოდ შენს სინიდისზე და ცხოვრების ნიჭზე ჰკიდია, რა სარგებელზე მოურიგდები. ვთქვათ, ივანიკას ასესხა ხუთი თუმანი. ამ ფულის სარგებელში ივანიკამ კვირაში სამი დღე უნდა იმუშაოს ფულის პატრონისათვის და სამი დღეც თავისათვის. და ასე უნდა იმუშაოს მთელის წლის განმავლობაში. თუ ერთი ხუთი თუმანი კიდევ იშოვნა სადმე, იმას კიდევ ჩიკოლიკი წაიღებს ამავ პირობით. და რაკი ჩვენი ივანიკა და ჩიკოლიკი ძლივს-ღა იშოვნიან იმდენს, რომ თავიანთი თავი შეინახონ წლითი-წლობამდე, რა თქმა უნდა, ვალს თავის სიცოცხლეში ველარ გადაიხდიან. ამ სახით, ათს თუმანში ყმად გადაიქციე ორი სული ადამიანი, ორი მუშა კაცი. მეტი რაღა გინდა... თუ ბატონობაც გიყვარს, მაშინ ხომ ნამდვილი ბატონი გახდი უწინდებურად—კაცი ხარ, ყმები გყავს და ვინ-ღა გჯობია!..

აბა, ამათ გაუგიათ ცხოვრების ყადრი, აი! მიხვედრილან, საითკენაც მიილტვის ტალღა და თითონაც მისდევენ ტალღის მიმდინარეობას. ესმით, რომ ჩვენს დროში

სჯობს ოქროების მოხვეჭა
ყოველსა მოსასვეჭელსა.

ივანიკები და ჩიკოლიკები, ღვთის ძალით, უხვად არიან, თითო-ოროლა ბეწვი იმათაც მოეპოვებათ და ჰკრიჭე, შეგნებულო, მიხვედრილო, ნიჭიერო კაცო! ვინ მოგედავება?

**

და არც მისი უპირატესობანი სამსახურში. ხოლო ჩერნიავსკი, 1883 წლის მანიფესტის ძალით, სრულიად განთავისუფლეს სასჯელიდამ. რაიცა შეეხება ქაღალდებში და სამსახურის საქმეებში ყალბობას და ფულის დასაკუთრებას, ამაში ორივენი გაამართლა სასამართლომ.

*** ქიზიყიდამ შემდეგი ამბავი მოგვივიდა; სოფ. ტიბაანის მღვდელი მამა იოანნე ჯამასპიშვილი ისეთის გონივრულის იგავებით უქადაგებს თავის მრევლს ყოველ კვირა-უქმე დღეს და ისე სასოებაში მოჰყავს ხალხი, რომ ბევრნი იმდულრებიან ცხარე ცრემლით იმ დროს, როცა სიბრძნის-მეტყველის მოძღვრის ქადაგებაში ნათლად დაინახვენ ხოლმე მსმენელნი თავიანთ აწმყოსა და მომავალის ცხოვრების ავ-კარგს. ეს პატივცემული მღვდელივე სწირავს, მდაბიურის ენით, ქადაგებათა დასაბეჭდად.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი ცნობები ქუთაისის ქართულს თეატრზედ: ამ წელსაც შესდგა დასი ბ-ნ კ. მესხის თაოსნობით და გაიმართება წარმოდგენები ვიტუშინსკის თეატრში. თვითონ თეატრის დარბაზი ცოტათი უკეთ მოწყობილი იქმნება—ახალი დეკორაციები კეთდება და თან ისტორიული ტანთ-საცმელი იკერება. დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან: ქალნი—ეფ. ს. მესხისა, მ. გ. კლდიაშვილისა, ლორთქიფანიძისა, ქუთათელაძისა. ამათ გარდა დასის მოთავეს განზრახვა აქვს რამდენისამე წარმოდგენისათვის ტფილისის ქართულ თეატრის არტისტი-ქალები მოიწვიოს. მამა-კაცთა როლებისათვის დასში მოწვეულნი იქნებიან ტფილისიდამ ვ. აბაშიძე და კ. ყიფიანი რამდენისამე წარმოდგენისათვის და მთელს სეზონში-კი ითამაშებენ კ. მესხი, პ. პავლეშვილი, ო. მინდელი, კ. კ. ბადრიძე, ს. გატირელი, თ. ნაკაშიძე, კ. გატირელი და სხ.

რეპერტუარის მხრით, როგორც გავიგეთ, უმთავრესი ყურადღება მოთავისა მიქცეულია საუკეთესო პიესებზე.

სხვათა შორის წარმოდგენილნი იქმნებიან: **ჰამლეტი, ვენეციელი ვაჭარი** და **ოტელლო** შექსპირისა, **ურიელ აკოსტა**—გუცკოვისა, **თამარ ცბიერი**—აკაკისა, **დენისა** და **მარგარიტა გოტიე**—დიუმასი, და სხვანი.

*** ამ თთვის 15-ს სოფ. კადაურში გარდაიცვალა მეტად ნიჭიერი და პატიოსანი ახალგაზდა ილია კალატოზიშვილი, რომელმაც წელს შეასრულა სწავლა სასულიერო სემინარიაში. ვინც-კი იცნობდა განსვენებულს, უეჭველად გული ეტკინება ამ სამწუხარო ამბავზე, რადგან დაჰკარგეს ერთი იმ ახალგაზდათაგანი, რომლისგანაც მომავალში ბევრს სიკეთეს გამოელოდნენ. განსვენებული იყო ერთი უკეთესს შეგირდთაგანი სემინარიაში და დიდი გავლენა ჰქონდა თავის მოძმე-ამხანაგებზედ. კალატოზიშვილი ძრიელა ჰშველოდა დაჩაგრულს და სულით დაცემულს ამხანაგებს და აგრეთვე დაბალ კლასებში მოსწავლეთ. ბევრსა ჰშველოდა როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმითაც. განსვენებულს ეწადა ვარშავის უნივერსიტეტში წასვლა, მაგრამ გულის ტკივილმა ბოლო მოუღო...

შესანიშნავია, რომ წრეულს სამი სემინარისტი, ახლად კურს-შესრულებულები, ჰლექით დაიხოცნენ: იანვარში—ხორბალაძე, მკათათვეში—ჯინჭარაშვილი და ესეც მესამე, საწყალი ილია კალატოზიშვილი. სამივენი ნიჭიერი და პატიოსანი ყმაწვილები იყვნენ. ძრიელ შესანიშნავია ეს ფაქტი.

*** გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყოველ გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მოუმატეს სწავლის ფასი და თითო შეგირდს, სამის თუმნის მაგიერ, გადაჰხდება ოთხი თუმანი. არ მოემატა მხოლოდ ყუბანის გიმნაზიას, სადაც უწინდებულად სამი თუმანი დარჩა.

## სად უფრო ხშირია სიკვდილი ევროპაში.

ვინ არ იცის, რომ კარგს ყოფა-ცხოვრებას, გონივრულად მომარჯვებულს ცხოვრების ვითარებას ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლეც მოსდევს. ყველა ამას-კი შეძლება უნდა. ვისაც შეძლება არა აქვს, ის ვერც კარგს სახლში დადგება, ვერც კარგსა და საღს ჭავას გამოუდგება და ვერც კარგს ჭამა-სმას, ამიტომ უფრო ხშირია სიკვდილი ღარიბებსა და შეუძლებელთა შორის. რაც უფრო ღარიბია და ღატაკი ქვეყანა, ნაკლებ განათლებული, ნაკლებ სისუფთავის მიმდევარი და კეთილის ცხოვრებისათვის უღონო და ხელ-მოკლე, მით უფრო ბევრი იხოცება ამ ქვეყანაში, მით უფრო ხშირია უდროვო, ადრე და მალე სიკვდილი ადამიანის-შვილისა.

ამიტომ, თუ გინდა გაიგო, რომელი ქვეყანა უფრო ღარიბია და რომელი უფრო მდიდარი, შეძლებული, რომელი უფრო წინ არის წასული და რომელი უფრო დავრდომილი, უნდა შეიტყო, რამდენი კაცი კვდება ან ერთგან ან მეორეგან წლის განმავლობაში, ათს წელიწადს, ოცს წელიწადს. ამას რომ შეიტყობ, მერე ისიც ადვილი იქნება გაიგო, ორთა-შუა ანგარიშით, რამდენს წელს სცოცხლობს საზოგადოდ კაცი ან ერთს ან მეორე ქვეყანაში. როცა ასეთის გამოკვლევით აღმოჩნდება, რომ ვთქვათ, ერთს ქვეყანაში ძალიან იშვიათად იხოცება ხალხი, მეორეში-კი—ხშირად, ერთში, საერთო ანგარიშით, კაცი სცოცხლობს თითქმის მოხუცებამდე და მეორეში-კი დავაჟკაცებასაც ვეღარც-კი ასწრობს, მიხვდებით, რომ პირველი ქვეყანა წინ-წასული, განათლებული, სისუფთავის-მიმდევარი ყოფილა და კეთილის ცხოვრების სახსარიც ჰქონია, ხოლო მეორე ქვეყანა-კი—დავრდომილი, ღარიბი, უსუფთაო, უღონო და უსახსრო რიგიანის ცხოვრებისათვის.

ამ სახით, ცხადია, რომ ვინც ამ თვალით შეჰხედავს საქმეს და გაჰზომავს ქვეყნის კეთილ-დღეობას, არ მოსტყუვდება, თუ მეტადრე სიკვდილის სიხშირისა და იშვიათობის ციფირები კეთილსინდისიერად არის გამოკვლეული სწავლულთაგან, სტატისტიკის მცოდნეთაგან. თუ აქამდე ხშირად ამბობდნენ ხოლმე: მითხარით, რამდენსა ჰხარჯავს ქვეყანა საპონსა და მე გეტყვით, რამდენად განათლებულია და წინ წასული იგი ქვეყანა კეთილ-დღეობითაო, ახლა უფრო ამას ამბობენ: მითხარით, რამდენი კვდება ამა და ამ ქვეყანაში, თუ ყმაწვილობაში, თუ სიჭაბუკეში, და მე გეტყვით, რამდენად განათლებულია, ბედნიერია ის ქვეყანა, ის თემიო.

სამწუხაროდ, თვით ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ ძალიან ნაკლებადა და მცირედ არის გამოკვლეული. ჩვენი ნასწავლი ექიმები ჯერ-ჯერობით ვერ შესდგომიან ამ საჭირო საქმეს და ვერ გამოუკვლევიათ ქვეყანა ჯან-მრთელობისა, ჯან-საღიანობის მხრივ, სიკვდილ-სიცოცხლის მეტნაკლებობის მიმართ. ამისათვის ჩვენს ექიმებს ჯერ არც დრო აქვთ და არც გარემოება უწყობს თითქო ხელსა.

ევროპა-კი უფრო მეტად არის გამოკვლეული და აი მოვიყვანთ კიდეც ამ გვარს ცნობებს ევროპის შესახებ ბ-ნ პორტუგალოვის წერილიდამ, რომელიც ამ დღეებში იყო დაბეჭდილი ერთს რუსულს გაზეთში. დოქტორი კაშერი ამბობს, რომ თითქმის ყველგან ევროპაში ამ უკანასკნელს საუკუნეს უფრო ნაკლებად იხოცება ხალხი, ვიდრე უწინაო. საფრანგეთში წარსულს საუკუნეს ათასში 34 იხოცებოდა, ეხლა-კი 22 კაცზე მეტი არა კვდება ათასში. საფრანგეთის ერთს თემში წარსულს საუკუნეს ათასში 41 იხოცებოდა და ეხლა-კი იმავე თემში კვდება მხოლოდ 24 კაცი. ისე რომ ეხლა ორთა შუა რაცხვით ამ თემში კაცი სცოცხლობს 36 წელს, უწინ კი ძლივს 23 წელიწადსა სცოცხლობდა.

შვეციაში ამ საგანს რიგიანად იკვლევენ თითქმას 1740 წლიდამ. ამ ქვეყანაში წარსულ საუკუნეს ათას კაცში 28 იხოცებოდა, ახლა-კი მხოლოდ 17 კვდება. ამ მხრივ შვეცია და ნორვეგია ყველა ქვეყნებზე ბედნიერი ქვეყანაა ევროპაში; ასევეა იტალიაში. წინანდელს მილანის საჭირცოგოში 1774 წ. 41 მომკვდარა ათასში, ეხლა-კი 28-ზე მეტი არ იხოცება. რომში 1794 წლიდამ 1800 წლამდე 39 კვდებოდა 1000-ზე, ეხლა კი, მაგალითად 1885 წელს, 27 მეტი არა კვდება. ერთის სიტყვით, ყველგან დასავლეთს ევროპაში იკლო სიკვდილმა, იმატა ჯან-საღობამ, დღეგრძელობამ.

აღმოსავლეთი ევროპა. და უფრო რუსეთში მას აქედ, რაც ეროპანი დაარსდა ქვეყნის გამოკვლევამ და შესწავლამ ამ მხრივ ძალიან წინ წადგა ფეხი. ეროპათა ექიმნი არ ჰზოგავენ შრომასა და ჯაფას და იკვლევენ, სწავლობენ, მიობენ გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრებას. ზოგიერთა კეთილსინდისიერის ექიმის გამოკვლევა სრული და ზედ-მიწევნილი სამეცნიერო თხზულებაა, წაიკითხავ ამ გვარს თხზულებას და ხელი-გულზედ გადაგეშლება ყოფა-ცხოვრება გლეხ-კაცისა.

ერთი საკვირველი ამბავი ის არის, რომ რუსეთში ყმაწვილები ქალაქ ადგილას უფრო ცოტა იხოცება, ვიდრე სოფლად. რასაკვირველია, ამ საგანს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ყმაწვილის სიცოცხლე და სიკვდილი და კაცისაცა ისევ კაცისავე ხელშია. მეტი მზრუნველობა, თავ-გამოდებით ბრძოლა მოარულების წინაალმდეგ, თუ ბევრად არა, შესამჩნევად მაინც დაიხსნიდა მუქუთა ყმაწვილებს უდროო ქლეტისაგან.

„გულ-ხელ დაკრეფილი არ უნდა შევსცქეროდეთ ასეთს გარემოებასაო,—ამბობს პორტუგალოვი.—თავი დავანებოთ უქმს კამათობას იმის თაობაზე, რომ ჯერ ჯუჭი უნდა გავუძღოთ ვითომ ხალხს, კეთილდღეობა მივანიჭოთ და მერე სიკვდილიც იკლებს თავის ძალასაო. არა, ჩვენ გვგონია, რომ უპირველესად ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ, რომ ავადმყოფობამ, ავადობამ და სენმა იკლოს, შემცირდეს და მერე ეკონომიური კეთილ-დღეობა თითონ გაჩნდება. ავადიანსა და ათას ნაირის სენით შეპყრობილს ხალხს არ შეუძლიან კეთილდღეობა შეიძინოს და ბედნიერებას მიაღწიოს.“

ამბობენ, რომ დასავლეთ ევროპაში სიკვდილის იშვიათობა შეიძლება იმას მივაწეროთ, რომ იქ მკურნალობის ხელოვნებამ, ექიმობამ და მედიცინამ მეტად წინ წადგა ფეხიო. დოქტორი კაშერი, კაცი ფრიად ნასწავლი და სახელ-განთქმული მკურნალი (...)

მაგრამ ეს რად გინდათ, აქ კიდევ თითქო ნება-ყოფლობაზეა საქმე მიგდებული. თქვენ ისა თქვით, როცა ოფლითა და შრომით მოგიპოვებიათ ერთი ლუკმა პური, გინდათ თქვენთვის უყვედური ყოფა-ცხოვრება იქონიოთ და თქვენი ბედი სხვის მოქეიფიანებაზედ არა გქონდეთ დამყარებული. ამ დროს თქვენკენ მოდის ვილაცა, მოდის პირდაპირ, თითქო საგულის-გულოდ იყოს დაბარებული, მოდის და მოიწევს თქვენს საცხოვრებელზე. რაკი ერთი შეგატყოთ, რომ თქვენ ცოტა თვალი მოარიდეთ თქვენს სარჩოს, დასტაცეს ხელს ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, იკრავს ჯიბისკენ და... ჰერი ბუსუს!.. სდიე, რამდენიც გინდა! აი ეს არი, რაც არი-და! მერე რა გახშირდა ამ ბოლოს დროს ასეთი საკვირველი შეხედულება სხვის სარჩოზე. არცა ჰხნენ, არცა სთესვენ და არც მშივრები არიან. სწორედ უკუღმა დატრიალდა ცხოვრების ჩარხი. ყოველ დღე, ყოველ ღამე, ყოველ წუთს უნდა მოჰხდეს ჩვენში ასეთი საქციელი. თითქო რაღაც ჭირი იყოსო, მუსრი გაავლო ხალხის ზნეობასა და სინიდისს ასეთმა უცნაურმა შეხედულობამ, საკვირველმა ფილოსოფიამ ცხოვრებისამ. კახეთი გინდათ და—ქურდებს ვეღარ აჰსვლიან, ქართლი ხომ სულ ხელში დაიჭირეს ავაზაკებმა, იმერეთში მათ ფეხს ვერ აუქცევ. იპარავენ შინაურები გინდათ თუ გარეულები, ქართველი გინდათ თუ ოსი, ლეკი თუ თათარი.

**

ამ საცოდავ სუჯუნას, თითქო საკუთარი ქურდები აკლდათო, ახლა ვილაც ბოშები სწვევიათ და გაჰმეზობლებიან. მერე ამათთან ხომ ფას სხვა ქურდები. იმ დღესაო, გვწერს ჩვენი მოამბე, ერთმა ბოშამ დუქნიდამ მოიტაცა ერთი თოფი ჩითიო. გამოეკიდნენ პატრონები. ბოშამ მოპარული გადუგდო ამხანაგს და თითონ-კი დაეჭერინა მდევარსა. მდევარმა გაუკრა ხელები და უნდოდა დაეპატიმრებინა. ბოშას საზოგადოდ ძალიან ეჯავრება საპყრობილე. ადგა და შემოიკრა თავში ქვა ოთხჯერ და ხუთჯერ, გაიტეხა თავი, ჩამოუვიდა სისხლი; მერე დაეცა ძირს, თავი მოიმკვდარუნა. ხალხს შეეცოდა და თანაც შეეშინდა. ეგონა, თავი მოიკლაო. თითო-თითო გაიფანტნენ, მიიშალ-მოიშალნენ. რა დაინახა ბოშამ, რომ ახლო აღარავინ არისო, წამოხტა ზეზე და მოჰკურცხლა ისე, რომ მწევარიც ვეღარ დაჰკრავდა. მაინც

მგელსადგან ასე ნაამბობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია!

**

თუ არ ხერხით, მაშ ბევრს გახდებოდნენ ჩვენი სირაჯები და ტკბილ წყლის გამყიდავები ტფილისში? ხერხი ხომ ჩვენში ტყუილსა ჰქვიან. ვინც კარგა მოგატყუებს, იმას ჭკვიანსა და მოხერხებულ კაცს ეძახიან. ჰო და, ჩვენმა სირაჯებმა თურმე ერთი ხერხი კიდევ მოიგონეს, რომ უფრო ძრიელ მოგვატყუანონ, ვიდრე აქამდის გვატყუებდნენ. აქამდის ხომ ღვინოში წყალსაც გვისხავდნენ, არაყსაც, შაქარსაც გვიყრიდნენ, ფერსაც უშვრებოდნენ, და ჩვენ მაინც ბუზებივით ვეხვეოდით ამისთანა ღვინოსა და ვილებდით უკანასკნელ გროშსა, რომ იმათგან მოტყუებულნი დავრჩენილიყავით, ოღონდ ღვინის წყურვილი-კი მოგვეკლა. ახლა ამასაც არ გვაკმარებენ. ისეთი ბოთლები მოუგონიათ, რომ თუნგში, ხუთის მაგიერ, ექვსი და შვიდი ჩავა. წინადაც აბაზად გაძლევდნენ ბოთლსა და ეხლაც აბაზად იმავ ღვინოს, ე. ი. წინად თუნგი მოგდიოდა მანათად, და სირაჯს თავისი მოგება ჰრჩებოდა, ეხლა ისევე თუნგი გიჯდება ექვსი და შვიდი აბაზი... წადი და სდიე.

თუმცა ამოდენა მოგებას-კი ვერ ახერხებენ ეს ლიმონადის გამყიდავები, მაგრამ ისინიცა ჰხედავენ, რანიცა ვართ, და იმათაც გაელვიძათ სურვილი ჩვენის ჯიბეების შეთხელებისა, თითქო ისე-კი თხელ ჯიბეების პატრონები არა ვბძანდებოდეთ. გვნახეს, რომ დაუდევარი და უხეირო ხალხი ვართ, ადგნენ და შეჰკრეს პირობა: „მოდი გავაძვიროთ ჩვენი ტკბილი წყალი. ვინც ამა-და-ამ ფასზე იეფად გაყიდოს, იმას წავართვათ ასი თუმანი ჯარიმა“. ერთი მექარხნე არ დაჰყაბულდათ, მაშინ შეისყიდეს იმისი ქარხანა, რადგანაც

სხვა რომ არ იყოს არ ვინა,
ჩვენი იქნების ყოველი
და ვიფარფაშებთო.

**

მერე, ვინ არა ფარფაშობს დღესა?—ისაო, გეტყვით ბ-ნი ზიარელი, „ვისაც არც საკუთარი სახლი აქვს და ტაბრუკია, ვისაც არ მოეპოვება სახნავ-სათესი, არა აქვს ვენახი, არა ჰყავს საქონელი, ერთის სიტყვით, ისა, ვინც დღიურადა მუშაობს, ორი-სამის დღის სავალზეა გადაკარგული თავის სოფლიდამ, ცოლ-შვილი რის წვითა და დაგვით გამოჰყავს დღიურად და არა სცალიან ერთი წუთი, რომ კვირა-უქმე დღეს მაინც სოფლის ყრილობაში გავიდეს და ის მაინც გაიგოს, თუ რამდენი შეაწერეს სახელმწიფო ხარჯი“.

ეს მწარე სიტყვები ბ-ნს ზიარელს ათქმევინა ჯიმითის მოხელეთა საქციელმა. მკითხველო, თუ არ წაგიკითხნია იმდღანდელი წერილი ბ-ნის ზიარელისა, გთხოვ იმოდენა ხათრი გამიწიო, რომ უეჭველად წაიკითხო. აი, ნომერსაც მოგახსენებ: „ივერია“ № 172. იქ ამოიკითხავ იმისთანა ამბავს, რომელიც თითქმის საყოველთაოა ჩვენის სოფლისათვის, მაგრამ-კი იშვიათადა გვაქვს შემთხვევა ჩავუფიქრდეთ იმას, რადგანაც ჩვენში ბევრი სამარცხვინო რამ მალულადა ჰხდება, თუმცა ბევრს-კი აშკარადაც ვჩადივართ.

სწორედ გავუჭირეთ საქმე ერთი ერთმანერთს. ვუდგევართ კრიჭში და, საცა-კი მოსახერხებელია, მზადა ვართ მეზობელი გადავიჩეხოთ უფსკრულში. სხვა სანაღვლელი და საფიქრებელი აღარა არის-რა ჩვენთვის... ჯიმითმა ამოირჩია თექვსმეტი ღვთის კაცი, რომ სახელმწიფო ხარჯი გაენაწილებინათ გლეხობისათვის შეძლებისამებრ. ავად თუ კარგად, ამ თექვსმეტმა კაცმა აასრულა დავალებული საქმე, შეადგინა სიები. რასაც ისინი გადასწყვეტდნენ, სოფელს უნდა ეყაბულნა. კიდევაც იყაბულებდა, ამიტომ-რომ, რაც უნდა იყოს, ერთში და ორში თუ მოტყუვდებოდა მთელი სოფელი, დანარჩენი არჩეულები მაინც ღვთისნიერები გამოდგებოდნენ. მაგრამ სოფელს ვინ აცალა, რომ თავის ჭკაზე ეარნა! გამოტყვრნენ ვილაც ოთხნი, რომელთაც დაიბარეს მწერალი,

ლი, წინააღმდეგია ამ აზრისა. კაშერი ამბობს, რომ მკურნალობას ტყუილად ვაქებთ და ვადიდებთ, როდესაც საქებია და სადიდებელი ჰიგიენაო. საქმე გაფრთხილებაა, ფარეზობაა, მოვლაა.

აი ამისი დამტკიცებაც. ავიღოთ, თუნდა, ყვავილის აცრა. ექიმმა ბერტილიონმა დაამტკიცა ციფრებით, რა საკვირველი შედეგი მოსდევს ყვავილის აცრას. შვეციაში, მაგალითად, ყვავილის მსხვერპლი 28 კაცი იყო ყოველ 10,000 კაცზე. მაგრამ შემდეგ, როცა ყვავილის აცრა შემოიღეს და სავალდებულოდაც გახადეს 1815 წელს, ყვავილი თითქმის ერთსაც ვერას აკლებს 10,000 კაცში. ყვავილის აცრამ სრულიად მოსპო და გაწყვიტა ეს მოარული სენი გერმანიაშიაც.

ერთი მიზეზი სიკვდილის შემცირებისა ჭაობებისა და ჭანჭრობის ადგილების გაშრობაც არის. ჰოლანდიაში, ზელანდიის ჭაობიან ადაგებში და სამხრეთ ჰოლანდიაში ერთის წლის ყმაწვილთაგან ასზე თითქმის 28 კვდება. იქ-კი, სადაც დედა-მიწა მშრალია, 12-ც არ იხოცება. ექიმს კაშერს გამოუთვლია, რომ ჩემს სამშობლო დეპარტამენტის ერთს თემში, სადაც ცოტა არ იყოს ჭაობიანი ადგილებია, 5,000 ფრანკის ქინაქინასა ხმარობენო. იმის ანგარიშით მთელი საფრანგეთი ჰხარჯავს ყოველ წელს 8 მილიონის ქინაქინას და მთელი ევროპა კიდევ 25 მილიონსა. ეს ამოდენა ხარჯი რომ ჭაობების გაშრობას მოვახმაროთ, მთელ ევროპის ჭაობებს რამდენსამე წელიწადს დავაშრობდითო.

ამ სახით, არც მთავრობამ და არც საზოგადოებამ არას დროს არ უნდა გადასდოს საქმე ბრძოლისა ავადმყოფობათა და სიკვდილის გახშირების წინააღმდეგ და ყოველის ღონით უნდა ეცადოს ასე თუ ისე შეამციროს ასეთი მალ-დატანებული კლება ხალხისა, შემცირება მკვიდრთა. ჯანის სისაღე და სიმრთელე უძვირფასესი განძია ყველასათვის და ყველას ცდაც უნდა იმაზე იყოს მიმართული, რომ ერისა და ქვეყნის დღეგრძელობა მატულობდეს. იმაზედ უბედური და დავრდომილი ერი ვიღა იქნება, რომლის ჯანი თან-და-თან უფრო სნეულდება, რომლის წევრნიც დიდხანს ვერა სცოცხლობენ. ყველა ქვეყნის გულ-შემატკივარი და მოყვარული იმისი მონატრული უნდა იყოს, რომ მის ქვეყნის მკვიდრნი მრავლდებოდნენ, ძლიერდებოდნენ ჯანითაც და სულითაც და არა სნეულდებოდნენ, ღონდილობდნენ, ორთა-შუა რიცხვით 20 და 22 წელზე მეტს ვერა სცოცხლობდნენ და ადრე და მალე ეთხოვებოდნენ წუთი-სოფელს!

გრ. უ—ძე

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კოდა, ტფილისის მაზრა. სოფ. კოდა ტფილისიდან 20 ვერსტზეა და შეიცავს 260 კომლ გლეხს. ამათში ზოგი ქართველია და ზოგიც სომეხი. ამ სოფლის გლეხები სხვა სოფლებისაზე უფრო მდიდრად სცხოვრებენ, რადგან მოსავალი კარგი მოსდით თითქმის ყოველ წელიწადს. აგრეთვე გზა ადგილია და მგზავრი ხშირადა ხვდება; ამიტომ შინაურ ნაწარმოებ საქონელს კარგ ფასად ჰყიდიან გამვლელ-გამომვლელზე. ამათზე ასაღებენ გამომცხვარ პურს, ქათამს, ერბოს, კვერცხს, ქერსა და სხვას. აქაური ხალხი უფრო ვაჭრობას მისდევს, და სოფლურად სტუმრის პატივის-ცემას მაგრე რიგად არ ეწყობიან, ყველაფერში ფასსა თხოულობენ. ვაჟკაცობაზედაც თავს არა სდებენ აქაურები. მაგალითად, ძალიან ხშირია, რომ ამათ მინდვრიდან და თითქმის სახლის კარებიდანაც ჰპარავენ, სტაცებენ ავაზაკები საქონელსა, მაგრამ თუ მდევარი დაიძახეს, ვერავის იშოვნით, თუ არ ფასით. აქაური ახალგაზდობა ძალიან ეწყობა წვრილმან ქურდობას. რამდენიმე კიდევაც გაიგზავნა ციმბირს. სამიოთხი ეხლაც გაქცეულები არიან—კატორგა აქვთ გადაწყვეტილი. მთავრობა იმათ ეძებს, მაგრამ ვერ უპოვნია.

საკვირველი სასიათი დაიჭირეს კოდელებმა: თუ ესტუმრათ ვინმე პატივ-საცემი პირი, ვთქვათ, გუბერნატორი, მაზრის უფროსი ან სხვა ვინმე, მაშინვე მიიმალ-მოიმალებიან, ვისაც-კი ცოტა თვალში წყალი ატყვია, და თუ ვინმე გამოჩნდება და დახვდება სტუმარს, ისიც დაგლეჯილ-დაფხრეწილ ტანისამოსით, რომ თავი შეაბრალოს!

აქაურ ხალხს ჰნახამთ დუქანში ზურნითა და ერთის ამბით. ქეიფის დროს, დღეობაში, ქორწილში სუფთად არიან ჩაცმულნი, შეიდიშის პერანგით, ბტყულის ბუზმენტით და ოქრო-მკერდით მოქარგულ ჩოხით და სხვა.

რაც შეეხება სოფლისათვის სასარგებლო საქმეს, მოთავე კაცი არ მოიპოვება მთელ სოფელში, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ხალხსა. ამოდენა სოფელს სკოლა არა აქვს, რომ ამათმა ყმაწვილებმა კეთილი რამ ისწავლონ. ამ რამდენისამე წლის წინად თავადმა გაგარინმა, გუბერნატორობის დროს, კოდელები იმ აზრზე დააყენა, რომ დაეარსებინათ რიგიანი სკოლა. სოფელმა დაიწყო შენობის გაკეთება მშვენიერ ვაკეზე. ქვითკირის სახლი დაასრულეს, დახურეს კრამიტით და ბევრი აღარა აკლდა-რა, რომ შენობა სრულებით მზად ყოფილიყო, მაგრამ ერთბაშად ხალხმა დაანება ამ სახლს თავი და ყურს აღარავინ უგდებს,— ლამის არის ეს მშვენიერი შენობა დარჩეს ატუზებული საუკუნოდ, და სასარგებლო საქმე სკოლისა ჩაიშალოს. თითონ სოფლელებში ხომ ძნელია, რომ ამოჩნდეს იმისთანა კაცი, რომელსაც ხელმეორედ შეეძლოს გაალვიძოს ხალხში ეს ფრიად საჭირო აზრი და ითავოს, რომ საქმე საქმეზე მოიყვანოს. კარგი იქნება, რომ ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, და სკოლის აშენება ასე უაზროდ არ ჩაატარებინოს.

მგზავრი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მოახლოვდა დრო საფრანგეთში ერთის ქვეითის ჯარის კორპუსის საომარ ფეხზედ დაყენებისა საცდელად და გერმანიამაც ცქვიტა ყურები. გერმანიას ძრიელ ეფიქრება, რომ ამ საცდელად ჯარის დაყენებამ საომარ ფეხზედ საფრანგეთში არა დაჰბადოს-რამე. ამიტომ ყოველ-გვარ ღონესა ხმარობს, რომ სიფრთხილით მოიქცეს. ამ აზრით გერმანია უპირველესად ყოვლისა რუსეთს მოურბილდა და ბოლგარიის საქმეში გაჩუმებულია. ამ სახით ბოლგარიის საქმის გამო დიდნი სახელმწიფონი ასე დალაგდნენ: ერთს მხარეზე არიან: რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია, მეორე მხარეზე: ინგლისი, ავსტრია და იტალია.

გაზეთი „Standard“-ი ამბობს, რომ დიდთა სახელმწიფოთა ასე დალაგების მიზეზი შემდეგიაო:

> გერმანია ყველაფერზე ეთანხმება რუსეთს ბოლგარიის საქმეში, ოღონდ სთხოვს, რომ სამაგიეროდ შენ საფრანგეთს მომხრეობას ნუ გაუწევ, თუ ვინიცობაა საფრანგეთი თავს დაესხა გერმანიასაო.

რუსეთის გაზეთებს არა სჯერათ, რომ ინგლისურის გაზეთის ასეთი განმარტება საქმეთა ვითარებისა შესაწყნარებელი იყოს. გერმანია ასეთს წინადადებას ვერ მისცემს რუსეთს და თუნდაც ასეთი წინადადება მისცეს, რუსეთი მაინც ვერ დათანხმდება და ასეთის ვალდებულებით ხელ-ფეხს ვერ შეიკრავსო.

**

გაზ. „Южный Край“ მიაქცევს მკითხველების ყურადღებას საერო განათლების მინისტრის განკარგულების ერთს მუხლზე და ამბობს, რომ ამ მუხლმა შეიძლება შეცდომა და ჰო-არაობა დაჰბადოსო. გაზეთი ამბობს:

> ეხლა მინისტრის ცირკულიარის ძალით გიმნაზიაში მისაღებად უნდა დაიჭირონ ეგზამენი მხოლოდ იმ ყმაწვილებმა, რომელთა მშობელნიც საკმაოდ შეძლებულნი არიანო. მაგრამ ამასთანავე ცირკულიარი ამბობს, რომ ღარიბის დედ-მამათა შვილნიც შეიძლება მიღებულ იქმნან გიმნაზიაში, უკეთუ დიდი ნიჭი და გონება ექმნებათ, რადგან ასეთის ნიჭის პატრონ ყმაწვილებს მაინც კარგად შეუძლიანთ ისწავლონ, თუნდა ცხოვრება არა ჰქონდეთ მოსწავლესათვის შესაფერიო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ყმაწვილის მიღება, თუ არ მიღება უნდა გადაწყდეს გამოცდამდე, ხოლო გამოცდამდე როგორ შეიტყოს გიმნაზიის მთავრობამ, რომელი ყმაწვილია ნიჭიერი და რომელი არა.

გიმნაზიის დირექტორი ამ შემთხვევაში გადასწყვეტავს, დიდი ნიჭი აქვს თუ არა ღარიბის დედმამის ყმაწვილს რაიცა ერთ-გულს და გამოცდილს პედაგოგს არ გაუჭირდება, და მაშინ დირექტორს თამამად შეუძლიან მიიღოს ყმაწვილი გიმნაზიაში ცირკულიარის მოთხოვნილებისამებრ, თუნდა ღარიბიც იყოს და შეცდომაც არ მოუვა.

არ ვიცით, რა სჩვენებია აქ ძნელ საქმედ გაზეთს და რამ უნდა დაჰბადოს ან შეცდომა, ან ჰო-არაობა!..

# წვრილი ამბები

— ნიუ-იორკში გაკოტრებულა ფირმა აივეს და კომ., რომელიც უვასა გაჭრობდა. ფირმის ზარალი 21 მილიონამდეა აღრიცხული.

— ლვოვში გარდაიცვალა პროფესორი ვარშავის „უმთავრესის სასწავლებლისა“, უკანასკნელს დროს-კი პროფესორი ლვოვის უნივერსიტეტისა, დ-რი სიგიზმუნდ ვენცლევსკი. განსვენებული ვარშავში კითხულობდა 1863—1869 წ. ბერძნულსა და ლათინურს ლიტერატურას. განსვენებულმავე შეადგინა „ისტორია ბერძნულის ლიტერატურისა“, პოლონურს ენაზედ გადათარგმნა თხზულებანი სოფოკლისა და ევრიპიდისა და ამას გარდა გამოსცა მონოგრაფია პოლშურ პოეტ კლემენს იანიცკიზე. ვენცლევსკი ძველის ისტორიის კარგ მცოდნედ ითვლებოდა.

— გაზ. „Truth“-ი ამბობს, რომ ევროპის პრინცებს როგორღაც არა სწყალობს ჰიმენეო (ქორწინების ღმერთი). ამ ჟამად ევროპაში 108 პრინცი უცოლოა და 66 პრინცესაა გაუთხოვარი, რომელთა შორისაც ზოგნი ჯვარ-წერისა და გათხოვების წლოვანებას გარდასცილდნენ კიდეცაო.

— ინგლისში ველოსიპედი ძალიან ეჯიბრება რკინის გზებსა. მაგალითებრ,

---

მოატანინეს თეთრად დაწერილი დავთრები, შეამცირეს იმათი გადასახადი, ვინც ისინი დაასაჩუქრა, და მოუმატეს იმათ გადასახადს, ვინც უსიტყვო და გულა-მშიერი იყო. ქაღალდები ჩვენ ხელშია და ვისაც რამდენს ჩავუწერთ, ჩვენი ნებააო. მექოთნე, საიდამაც უნდა, იქიდამ გაუკეთებს ყურს ქოთანსაო. მითომ ჩვენც მექოთნეები ვართო.

კაი მექოთნეები უშოვნია ჯიმითს!..

**

მაგრამ ეს რაღა მექოთნეები გასჩენიან ამ გორის მაზრასა და ნამეტნავად მის ცხინვალს. ქურდობასა და ტაციაობას აღარ აკმარებენ, ახლა პირდაპირ ხალხის ქლეტას შესდგომიან. თითქო ყასბები არიანო და პირუტყვსა ჰხოცენო, ისეთის გულგრილობით აშორებენ მზეს ადამიანის არსებას. ეს რა ამბავია! არ უფიქრდებით, რა დღეს აყენებენ ერთმანერთს?.. ეს ხომ ჩვენი საკუთარი საქმეა, ჩვენის ხელის ნაწარმოებია.

ლამის დაჭამონ ერთი-ერთმანერთი. ამ გზას რომ დაადგნენ, მერე სად მივალთ? უფსკრულში არ გადასცვივიან! თუ მაინც გადარჩნენ უფსკრულს, განადირება ხომ არ ასცდებათ. მერე განა იმიტომ მოგვეწონს თავი, რომ განადირებისაკენ გაიკვლიონ გზა!.. საკვირველია, ღმერთმანი!..

**

არა ერთხელ მომიხდია მკითხველთან ბოლიში და ეხლაც ვიხდი, რომ ასეთს მძიმე საგნებზე გაემართე ბაასი. ბარემ მეც-კი მინდა სამხიარულო მასლაათის გაბმა, მაგრამ რასა იქ, როცა ჩვენში ცხოვრება კვირით კვირამდე იძლევა მრავალს ამისთანა გულ-დასაწველს მასალასა. მოდი შენა და იმხიარულე, იცინე, იხარხარე.

თუმცა ჩუმად, ყურში-კი უნდა ვუღვიაროთ ერთმანერთს, რომ თუ-კი გულის გასაყოლებელი შეგვხვდა რამ, ჩვენ, რაც გინდ დადარდიანებულნი ვიყვნეთ, მაინც მზადა ვართ დავივიწყოთ უსიამოვნობა და მოვერთოთ უდარდელი გაცვლა-გამოცვლა სასაცილო ამბებისა. ეხლაც ასე მოვიქცნეთ. მით უმეტესს, რომ არც სასაცილო ამბები გვაკლდა ამ კვირია.

ქალაქებში ზამთრობით იციან თეატრების გამართვა და ზაფხულობით სოფლად. იქ-კი უფრო სასაცილოებსა მაშობენ ხოლმე, რომ ხალხი გაამხიარულონ. მაგრამ ხშირად ისეთი რამ სასაცილოობა ჰხდება თითონ ცხოვრებაში, რომ თეატრში წასვლა ფიქრადაც არ მოგივა. აი, გინდა აიღეთ სოფელი მეჯვრისხევი. იქ გამართეს წარმოდგენა. ხალხი სიხარულით გაემართა სანახავად. ყველამ ისიამოვნა. ხოლო იქაური თავადობა არ წავიდა თეატრში, რადგან შინ უფრო ბევრი ჰქონდა გულ-გასაყოლებელი. ახლა ამაზე ერთი ამბავი შეუდგენიათ და, თავიანთ ჰკუაში, მასხარად უნდა აიგდონ მათნი ბრწყინვალებანი. თქვენს თავზე გაიცინეთ, ვისაც გეცინებათ. მითომ რა თქვენი ყბადასაღებნი არიან ისინი!.. არ წავიდნენ და არ წავიდნენ. მერე რა გამოვიდა! ქვეყანა ხომ არ დანგრეულა ამის გამო. რა იყო, რომ საქვეყნოდ არ გაგეხადნათ. ვაჰ,

ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ,
მოასვენოთ ეზდენ სული!

**

მაგრამ ავ-ენიანებს რა დააცხრობთ. აი, ახლა კიდე ერთ ყოფას აწევენ ქარელის წარმოდგენაზე. ვახშმიანი წარმოდგენა და უვახშმო წარმოდგენა აკრავთ ყველას პირზედ. რა-კი ქართველ კაცს ვახშამი დაუსახელეს, სულს გაჰყიდის და თეატრში-კი არა, გინდა ჯოჯოხეთში წავა, თუ კი ეცოდინება, რომ იქ წვეულება დაჰხვდება. ქარელში სკოლის დარდი-კი არა ჰქონდათ, ვახშამზე მიდიოდნენ, თორემ აბა რომელ წარმოდგენაზე აიღებდით სოფლად ოც-და-თხუთმეტ თუმანსაო. გლახამ ალაპი ჰქმნა და თითონვე შესჭამაო, სწორედ ისე მოუვიდათ ქარელელთაცაო. დაფა-ზურნა, ჰიანური, საზანდარი, ტანცი-მანცი, კაი ვახშამი, კაი ღვინო,—აი, რამ გაიტაცა იქაური საზოგადოება, თორემ განა აქნამდის-კი არ იცოდნენ, რომ სკოლა არა აქვთო.

რასაკვირველია, დიდი სიმართლე არ მიუძღვით ამ მეჭორეებს, მაგრამ უნდა-კი თქვას კაცმა, რომ მართლაცვახშამს სრულიად დაუჩრდილავს ქველ-მოქმედება, იმოდენა ხარჯი მოჰსვლიათ. ალბად, მართლა-და

ზროხა და ცხვარი დაკლული
იყო უმრავლეს ქვიშასა,

და ღვინო ხომ რუმბობით მოჰქონდათ, თორემ ოც-და-თხუთმეტის თუმნიდგან მარტო რვა თუმანი რად დარჩა საცოდავს სკოლასა!...

მაგრამ რაც უნდა იყოს, ვახშმიანი წარმოდგენა გაცილებითა სჯობნებია უვახშმოსა. აბა კამბეჩოვანთ ქალაქს, „პუჩოტნი ღრაჟდანინებით“ გაჭედილს სიღნაღსაც ვახშმიანი წარმოდგენა გაემართა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ, თუ მარტო 12 მანეთი და 11 კაპეიკი იქნებოდა შემოსავალი. სულ რომ ცოტა, 12 მანათი და 12 კაპეიკი მაინც ადგებოდა. ეხლა-კი, რადგან უვახშმო წარმოდგენა იყო, კაპეიკების რიცხვი ეშმაკების დუქანზე შედგა და ფეხი ველარ მოაცვლევინეს.

მაინც ბარაქალა, სიღნაღო! ხუმრობა საქმეა 12 მანათი და 11 კაპეიკი? მარტო 12 მანეთი ხომ არ იკმარა სიღნაღის ქველ-მოქმედობამ, ადგა და 11 კაპეიკიც ზედ დააყარა. ძალიანია, თქვენმა მზემ! კამბეჩოვანთ ქალაქი თუ გახლავთ სიღნაღი, იმიტომ ვერ გაიკრა ჯიბეს ხელი, როცა ჰხედავს, რომ ქვეყანას სწავლა ეჭირვებაო!.. ბევრმა სხვა ქალაქმაც ინატროს სიღნაღობა, რომ ვერ გასიღნაღდეს. ჰმ... სიღნაღი... ძალაინს ქალაქი ყოფილა სიღნაღი. მიკვირს, რად ეთაკილება ბ-ნს კახელს, რომ 12 მანათისა და 11 კაპეიკის ამბავს გვატყობინებს დალოცვილ სიღნაღიდამ. არ მესმის ზოგი კაცის უადგილო ამპარტავნობა. რა არის აქ სათაკილო! ეს 12 მანათი და 11 კაპეიკი საბუთია, რომ სიღნაღიც ნახირში გამორეულა. ეხლა იმაზე ველარავინ იტყვის, რომ სიღნაღი სიბნელით არის მოცული, რომ მას აწევს ჯანღი და ბერუსი და ამიტომ

არა ფიქრობს იგი თავის ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას.

სიღნაღმა ეხლა ყველას ბურთი დაუცო პირში: გაჩუმდით, ხმა ჩაიკმინდეთ და მოიდრიკეთ მუხლი წინაშე კამბეჩოვანთ ქალაქისა.

სანო

ამ ჟამად ინგლისში 500,000-მდე კაცი მოგზაურობს თურმე ველოსიპედით.

— ვოლაპუკი თან-და-თან როგორ-ღაც გამაგრებული ჩნდება. მაგალითებრ, ბავარიის საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ფაკულტეტში ასწავლონ ხოლმე, და ლუიტპოლდის გიმნაზიაში ამ ენის მასწავლებელი დაუნიშნავთ კიდეც. ეს ენა სავალდებულო უნდა იყოს ფოსტისა და რკინის გზის მოხელეთათვისაო.

— ვაშინგტონის სასამართლოში ამას წინად უპოვნიათ ანდერძის ქაღალდი გენერალ ფადეი კოსტუშკასი, რომელიც 1794 წ. რუსეთს მოჰყვა ტყვედ, შემდეგ განთავისუფლებულ იქმნა პავლე I-საგან და ჩრდილოეთ ამერიკაში წავიდა პავლე I-ისათვის მიცემულ სიტყვისამებრ—არასოდეს აღარ ვიბრძოლებ რუსეთის წინააღმდეგაო. ანდერძის ქაღალდში რიცხვი 1798 წ. 5 მაისის აღნიშნული. აი შინაარსი: „მე, თადეოზ კოსტუშკომ, განვიზრახე ამერიკიდგან წასვლა და ვაცხადებ ჩემს სურვილს: თუ ამ ანდერძის ქაღალდის მეტი სხვა ქაღალდი არა დავტოვო-რა ჩემს უძრავ მამულზე ჩრდილოეთ-ამერიკაში, ვთხოვ ჩემს მეგობარ თომას ჯეფერსონს, ეს მამულები ფულად აქციოს და ამ ფულით მონობიდგან შეისყიდოს, გაანთავისუფლოს რამდენიც შესაძლოა ზანგები, ასწავლოს ამ ზანგებს რაიმე ხელობა, ან სხვა საქმე, აუხსნას ადამიანის ზნეობითი მოვალეობანი, რომ კარგი მეზობლები იყვნენ, კარგი მამები და ოჯახის უფროსები; აუხსნას აგრეთვე მოქალაქობრივი მოვალეობანი, საზოგადოდ, ასწავლოს და შეაგონოს ყველა ის, რაც ადამიანს გააბედნიერებს და სასარგებლოდ გახდის. თ. კოსტუშკი“.

— ვენის სასამართლოში ამას წინად გაურჩევიათ საქმე კარლ გიტნერისა, რომელსაც მაწანწალობას აბრალებდნენ თურმე. ეს გიტნერი ადრე ფილოსოფიის დოქტორი ყოფილა და სასამართლოს მიერ ჩამორთმევია დოქტორობის უფლება. ესლა გიტნერი სხვა მაწანწალებთან ერთად დაუჭერიათ.

მოსამართ. დიდი ხანია, რაც უსაქმოდ დადიხართ?

ბრალდებ. სულ სამი დღე იქნება, ბ-ნო მოსამართლევ. მართალი-კი რომ სთქვას კაცმა, უსაქმოდ არასოდეს არა ვყოფილვარ, რადგან ვფიქრობ, ვაზროვნობ, და ესეც საქმეა.

მოსამართ. არსებულის კანონების ძალით, რაიმე ხელ-მომცემი საქმე და შრომა უნდა დაასახელოთ.

ბრალდებ. ოჰ, მე ვიცი, რომ კანონი ფიქრსა და აზროვნობას საქმედა და შრომად არა სთვლის.

მოსამართ. მაინც-და-მაინც რა მოხელე ხართ?

ბრალდებ. მე ფილოსოფოსი ვარ. ვწერ ღმერთსა, ქვეყნიერობასა და უკვდავებაზე. მეტაფიზიკა და ფსიხოლოგია ჩემი განსაკუთრებული საქმეა.

გიტნერისათვის ორის დღით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტიათ.

# დეპეშა

21 აგვისტო

სოფია (რეიტერის სააგენტოს დეპეშა). ბოლგარიის მმართველებმა დღეს მიიღეს ოფიციალურად ამბავი, რომ რუსეთის წინადადება ბოლგარიის საქმეთა შესახები შეიწყნარა პორტამაო. მაშინათვე მოწოდებულ იქმნა საბჭო მინისტრებისა კობურგის პრინცის თავს-მჯდომარეობით ამ ახალის გარემოების ასახსნელად და გამოსარკვევად. რა გადასწყვიტა საბჭომ, ჯერ არ გამოცხადებულა.

სოფია. ახალი სამინისტრო უკვე შესდგა. სამინისტროში იქმნებიან: სტამბულოვი, სტოიანოვი, ნაჩევიჩი, სტრანსკი და მუტკუროვი. სტრანსკი ფინანსთა მინისტრად დაინიშნა.

ბომბეი. როგორც ქაბულიდამ იწერებიან, ემირს აბდულ-რახმან-ხანს ქარები ბარძაყში აჳარდნია. ინდოეთიდამ დაბარებული სახელ-განთქმული მკურნალი ხაფიზ-ხანი უკვე ჯელალ-აბადს მისულა.

22 აგვისტო

ვარშავი. გუშინ მოვიდა აქ სამხედრო მინისტრი.

სტამბოლი. ოსმალეთმა მიანდო გერმანიას: დაიყოლიე ავსტრია, ინგლისი და იტალია, რათა დათანხმდნენ, რომ ბოლგარიის გაჭირებული საქმე რუსეთის მიერ ნათქვამ საშუალებისამებრ იქმნეს გადაწყვეტილიო. გერმანიას თითონვე უკისრნია ამ საქმეში შუამავლობა.

სულთანის ტახტზედ ასვლის დღეობის გამო, პრინცმა კობურგისამ დეპეშა გაუგზავნა სულთანს და მიულოცა.

ლონდონი. მომავალს კვირას მიდიან მაიორი პიკოკი და კაპიტანი იეტი რუსეთ-ავღანისტანის საზღვარზე, რათა რუსეთის ორ კომისართან ერთად თვალ-ყური ადევნონ ახალს საზღვრის გაყვანას რემიაკუშკას ხეობაზედ და აგრეთვე დუკშასა და ხამიაბს შუა.

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს აგვისტოს ფასები:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 18 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 177½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, | — » | — » | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 275¼ |
| — მეორისა | — » | — » | 255¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | 99¼ | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | 99¼ | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83¾ | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

23 დღე კვირა. მოწ. ლუპპასი, ირინე ეპისკ. ლიონისა. კათოლ. ფილიპპესი და ლეოკადიისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30. მთვარე 17 დღისაა.

24 დღე ორშაბათი. მღვდ.-მოწ. ევტიხისა. კათოლ. ბართოლომესი და ტერეზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიდი-ჰადირ-ხუმი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28. მთვარე 18 დღისაა.

25 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ბართოლომესი და ტიტესი. კათოლ. წმ. ლუდოვიკისა და ალმასი. სომეხ. იოაკიმისა და ანნასი, წმ. ღვთის-მშობლის მშობელთა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27; მთვარე 19 დღისაა.

26 დღე ოთხშაბათი. წმ. ანდრიანესი და ნატალიასი. კათოლ. ვიქტორისა და ალექსანდრასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—31, ჩადის 6—25; მთვარე 20 დღისაა.

27 დღე ხუთშაბათი. ღირსისა პიმენ დიდისა. კათოლ. ცეზარისა და იულიასი. სომეხ. წმ. იერემია წინასწარ.-მეტყ. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—32, ჩადის 6—23; მთვარე 21 დღისაა.

28 დღე პარასკევი. ღირსისა მოსესი; წმ. მოწ. ქართველთა დედოფლისა შუშანიკასი, სომეხთ მთავრის წმ. დიდის ვარდან მამიკონიანის ასულისა. კათოლ. ავგუსტინასი და ჰერმეტისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57 ტფილისში მზე ამოდის 5—33, ჩადის 6—21; მთვარე 22 დღისაა.

29 დღე შაბათი. თავის-კვეთა წმ. წინა-მორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანნესი. კათოლ. თავის-კვეთა წმ. იოანნესი. სომეხ. წმ. მოციქ. თომასი, იაკობისა და სვიმეონისა. ნახატონაქი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—19; მთვარე 23 დღისაა.

30 დღე კვირა. წმ. ალექსანდრესი, იოანნესი და პავლესი. კათოლ. ფელიქსესი და როზასი. სომეხ. წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-24 დღე თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. სახელ-წოდება მისის უდიდებულესობის იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—35, ჩადის 6—17; მთვარე 24 დღისაა.

31 დღე ორშაბათი. წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. კათოლ. რაიმუნდისა და რუფინისა. სომეხ. წმ. სტეფანე ულნელ., გოარინისა და სხ. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 6—36, ჩადის 6—15; მთვარე 25 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | . | 3 | » |
| » 2 | » | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | . | 5 | » |
| » » 2— | | 3½ | » |
| » » 3 | » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | . . | 4 | » |
| მე-3 — | . . . | » | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 | » |
| » 2 | » | 6 | » |
| სუკი | . . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » | » |
| » 2 | » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშა ბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

### ექიმის სახლობას

სურს აიყვანოს იაფ ფასად ერთი მოსწავლე ყმაწვილი; მოსწავლეს ასმევ-აჭმევენ და თვალ-ყურს დაიჭერენ. მოლაპარაკება ამ საქმის თაობაზე შეიძლება **საექიმო და საგიმნასტიკო სახლში**, რომელიც აქვს გამართული **მედიცინის დოქტორს ფრანცეუსს**. სოლოლაკი, ამაღლების ქუჩის კუთხე, სახლი ტერ-ყაზაროვისა. (5—1)

### დაიბეჭდა და ისყიდება

ქუთაისში ახალი წიგნი:

„ცეცხლი თუ გაძლიერდა, ველარ გააქრობ“, მოთხრობა ლ. ტოლსტოისა, ნათარგმნი სტ. ხოჯივანიშვილისა. ფასი ორი შაური. (1—1)

### განცხადება

სოფელს წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში, ტფილისის გუბერნიაში (საგურამოს ველში), ოთხი წელიწადია, რაც არსებობს სასოფლო მეურნეობის სკოლა პირველდასაწყისის მოსამზადებელის კურსით, ფერმით და სახელოსნოთი. წლევანდლამდე გახსნილი იყო ოთხი განყოფილება, ხოლო ამა 1887 წლის 1 სექტემბრიდამ მოემატება პირველი სპეციალური კლასი.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს საგნები:

ა) საღმრთო რჯული;

ბ) რუსული და ქართული ენები;

გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია;

დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა;

ე) ზოოლოგია, ბოტანიკა და მინეროლოგია;

ვ) მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა, ფუტკრის გაშენება, პირუტყვის მოვლა, სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტეხნოლოგია;

ზ) ჰიგიენა და პირუტყვთ-მკურნალობა;

ც) ხატვა;

თ) ხორით გალობა;

და ი) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, ჩილინგდრობისა და ბოჩკის კეთებისა.

წელს ხუთ სექტემბერს იქმნებიან მიღებულნი ჯან-მრთელნი ბავშვები არა ნაკლებ ათის წლისა ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სკოლას ჯერ-ჯერობით არა აქვს გამართული პანსიონი და ამისათვის სხვა-და-სხვა დაშორებულ მხრიდგან მობარებული სკოლის შეგირდები იქმნებიან მოსიარულენი დროებით, მანამ დასრულდება უკვე დაწყებული შენობა ყმაწვილების სადგურისა. ყმაწვილები სარგებლობენ უფასოდ ყველა სასწავლო ნივთებით და აგრეთვე საჭირო წიგნებით. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქმნება.

ვისაც ჰსურს მიაბაროს თავისი შვილი სასოფლო მეურნეობის სკოლაში, იმან უნდა წარმოადგინოს ყმაწვილი 1 სექტემბერს სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, რომელიც მდებარეობს მცხეთიდამ თორმეტ ვერსტზედ, და განუცხადოს იქ კრებას პირად ანუ წერილით თავისი სურვილი და უშოვნოს ყმაწვილს სოფელში ბინა. ყმაწვილებს არ მოეთხოვებათ არა რაიმე მოწმობა.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვარიშვილი

(6—3)

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეექვსე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1887—88 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და წერა **გარკვეული და მშოიანი**.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ-დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 11**.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქ გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ **ს. პ. მანუელიანცს** ტფილისს.

Дозв. цен. Тиф. 22 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე